A
8086

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შერვაშიძე თინათინ ზაურის ასული

მოსწავლეთა ზნეობრივ-მოქალაქეობრივი აღზრდა ქართული ლიტერატურის სწავლებისას უფროს სასკოლო ასაკში

(კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა მ

13.00.01 - პედაგოგიკის თეორია და ისტორია

დისერტაცია
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ტიტე სარიშვილი

თბილისი 1992

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციცე სარიშვილი

ოფიციალური ოპონენტები:

1. ქედელოვანის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რევაზ ლიქოკელი
2. ქედელოვანის მეცნიერებათა კანდიდატი, ლექტორ ოკ. მაღლობლიშვილი

[illegible] ორგანიზაცია – იუსტიციის სამინ. ქედელოვანის ეროვნული ინსტიტუტი

დაცვა შედგება 1992 წ "23" ივნისს "12" საათზე თბილისის უნივერსიტეტის საკანდიდატო დისერტაციის დაცვის სპეციალიზირებული საბჭოს სხდომაზე ¾ 057.03.25 /380028, თბილისი, ჭავჭავაძის პრ.3, ისუ, II კორპუსი აუდ. 182/

დისერტაციის ტექსტი შესაძლებელია თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი გაგზავნილი იქნა "23" ივნისს 1992 წ.

სპეციალიზირებული საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი [signature] თ.კაკანაძე

ზნეობრივი აღზრდის პრობლემა იმ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თავიანთ აქტუალურობასა და მნიშვნელობას კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ინარჩუნებენ. და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაში შემოდიან სულ ახალ-ახალი თაობები, რომელთა ზნეობრივ სრულყოფაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის მსოფლმხედველობრივი ფორმირება, ღირებულებითი ორიენტაცია, იდეური რწმენისა და მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება. მაგრამ ზნეობრივი აღზრდის პრობლემები კიდევ უფრო აქტუალური ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე დიდი ცვლილებების, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების, რევოლუციური გადატრიალების დროს. ასეთი დრო დგას დღეს საქართველოში. მოხდა ძველი, ტოტალიტარული რეჟიმის რღვევა და დაიწყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შენება. საქართველო რეალური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გზას დაადგა.

ძველი რეჟიმის უპირველესი ნაკლი ის იყო, რომ მან მოახდინა ადამიანის ზნეობრივი დეგრადაცია, გამოიწვია მისი გაუცხოება და მანქურთად ქცევა. რელიგიური რწმენის უკუგდებამ და ქრისტიანული მცნებების დავიწყებამ გააბატონა კაცთმოძულეობა, შური, ამპარტავნობა, ურთიერთმტრობა და სიძულვილი. ფართო გაქანება მიეცა კარიერიზმს, მექრთამეობას, მომხვეჭელობას და ა.შ.

ასეთ სიტუაციაში ზნეობრივი პრობლემის კვლევის აქტუალობას, ვფიქრობთ, საგანგებო დასაბუთება არ ესაჭიროება. მაგრამ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი საგანია არა საკუთრივ ზნეობრივი პრობლემები, არამედ ის, თუ როგორ უნდა წარვმართოთ მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივ-მოქალაქეობრივი აღზრდა ქართული ლიტერატურის სწავლებისას უფროს სასკოლო ასაკში, კონკრეტულად კი X კლასში. რამდენადაც სწავლება არის მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების დაუფლების პროცესი პედაგოგიურად ორგანიზებულ გარემოში ე.ი.სკოლაში, ჩვენი ამოცანაა ვიკვლიოთ, თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი ამ პროცესში ზნეობრივ-მოქალაქეობრივ აღზრდას მხატვრულ ლიტერატურული მასალის გამოყენებით, ხოლო რაკი ამ კვლევას წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, ჩვენი გამოკვლევის მიზანია მიღებული შედეგების გამოყენება თანამედროვე პირობებში; იმ რაციონალურისა და სასარგებლოს გამოყოფა, რაც გარდაქმნის გზაზე დამდგარ განათლების სისტემას სასიკეთოდ წაადგება.

რაკი ზნეობრივი აღზრდის საქმე ყველა დროსა და ეპოქაში აქტუალურია, მასზე ბევრიც დაწერილა, როგორც პედაგოგიკის სპეციალისტთა, ისე ფსიქოლოგთა მიერ. ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე საინტერესო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ჟან-ჟაკ რუსსოს, ი.კომენსკის, ჯ.ლოკს, კ.დ.უშინსკის, ი.გოგებაშვილს. თანამედროვე ქართველ მეცნიერებს: დ.უზნაძეს, დ.ლორთქიფანიძეს, გ.თავზიშვილს, ვ.გაგუას, ა.ბოვორიშვილს, შ.ჩხარტიშვილს,